ოქმი №16

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე ბიუროს სხდომისა

აბაშა, 2020 წლის 7 მაისი

ᲝᲥᲛᲘ №16

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე ბიუროს სხდომისა

აბაშა, 2020 წლის 7 მაისი

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა მ. კვიტაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ:

ბიუროს წევრები: გ. ხოშტარია, გ. კუპრავა, კ. კუჭუხიძე, გ. კუცია, ე. ნოდია, ზ. ალასანია, შ. ჭანტურაია.

საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - აპარატის უფროსი გ. ხურცილავა, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი ნ. კუპრეიშვილი.

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ.

   მომხს: გ. კუპრავა
2. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ.

   მომხს. მ. კვიტაშვილი

1

ᲛᲝᲘᲡᲛᲘᲜᲔᲡ:

აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს: გ. კუპრავა

მომხსენებელმა გ. კუპრავამ ბიუროს წევრებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: მ. კვიტაშვილმა, გ. ხოშტარიამ.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:

საკითხი – აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ განსახილველად გატანილ იქნას საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე და მომხსენებლად დაინიშნოს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თ. ნოდია.

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

2

ᲛᲝᲘᲡᲛᲘᲜᲔᲡ:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ.

მომხს. მ. კვიტაშვილი

მომხსენებელმა მ. კვიტაშვილმა წამოაყენა წინადადება აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა მოწვეულ იქნეს 2020 წლის 8 მაისს დილის 10 საათზე, დღის წესრიგით:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ.

   მომხს: თ. ნოდია

საკრებულოს თავმჯდომარის წინადადებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე ბიუროს ყველა წევრმა.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

სხდომის თავმჯდომარე: მ. კვიტაშვილი